

# ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13

2017 წლის 1 მაისი

დაბა ჩხოროწყუ

**„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ივლისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის 66-ე და 67-ე ნაწილების შესაბამისად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

## **მუხლი 1**

„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ივლისის №20 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 05/08/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010026000.35.107.016142) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „ვ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 196<sup>1</sup>, 196<sup>3</sup>, 196<sup>6</sup> 197-ე, 197<sup>1</sup> და 198-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა, ადმინისტრაციული სახდელების დადება და ოქმების შედგენა.“.

## **მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ესებუა

